

**ფშავ-ხევსურული „დაკვლევა – გარიგება“
და მეგრული „გინოდირაფა“
(ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალების მიხედვით)**

**The Pshav-Khevsurian „Dakvleva-Gariga“ and
the Megrelian „Ginodzirapa“
(Based on Ethnographic and Folkloric Material)**

ნანა აბულაძე

დადიანების სასახლეთა
ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი
საქართველო, ზუგდიდი
იოსებ შენგელია

დადიანების სასახლეთა
ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი
საქართველო, ზუგდიდი

Nana Abuladze

Dadiani Palaces History and
Architectural Museum
Georgia, Zugdidi

Ioseb Shengelia

Dadiani Palaces History and
Architectural Museum
Georgia, Zugdidi

აბსტრაქტი

ქორწინება საზოგადოების ერთ-ერთი რთული და მრავალსაფეხურიანი ინსტიტუტია. მასთან დაკავშირებულმა წეს-ჩვეულებებმა განვითარების საკმაოდ გრძელი გზა განვლო. ქორწინება, რომელიც ქალსა და მამაკაცს შორის საზოგადოებრივი ყოფიერებით ისტორიულად შეპირობებულ ურთიერთობას წარმოადგენდა, საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ იცვლებოდა და ვითარდებოდა.

სამეცნიერო ლიტერატურში სათანადოდ არის აღნიშნული, რომ ქართული ქორწილი რამდენიმე ძირითადი მომენტისაგან შედგებოდა: 1. დაკვლევა-გარიგება, 2. დაწინდვა ანუ ნიშნობა, 3. საპატარძლოსთან გამოთხოვება, 4. ქორწილი, 5. საპატარძლოს სამუშაოზე გაყვანა.

საწესჩვეულებო პოეზიის სარიტუალო კომპლექსში ერთ-ერთი

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქორწილო პოეზიას. ქალის დასაკუთრების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს ფშავ-ხევსურული „დაკვლევა-გარიგება“ ანუ საცოლის გაშინჯვა, მეგრული „გინოძირაფა“. გასინჯვა („გინოძირაფა“) ნიშნავს საცოლის ყოველმხრივს დათვალიერებას, მისი ღირსება-ნაკლულევანების შეტყობას. ეს სიტყვა მეგრულში მხოლოდ საქორწილო ფრაზეოლოგიაში გვხვდება.

ხევსური ქალს პირდაპირ ვერ ითხოვს, უეჭველად „წინამძღვრის“ შემწეობით უნდა დაიწყოს საქმე. „წინამძღვარი“ იგივე მაჰანკალია. იგი დავალებულ საქმეზე მოელაპარაკება ქალის მშობლებს და, თუ თანხმობა მიიღო, სანეფოს მშობლებს შეატყობინებს.

მსგავსი ტრადიცია იყო სამეგრელოშიც; შუამავლის როლს თამაშობდა „მარებელი“.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, ხევსურულ და მეგრულ საქორწილო ტრადიციებში ბევრი საერთო იკვეთება. არის განსხვავებული მომენტებიც.

წარმოდგენილ კვლევაში, სამეცნიერო ლიტერატურასა და ჩვენ მიერ ველზე მოპოვებულ მდიდარ ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით, შედარებულია ხევსურული „დაკვლა გარიგება“ და მეგრული „გინოძირაფა“, გამოვლენილია მათ შორის არსებული მსგავსება და განსხვავება.

საკვანძო სიტყვები: ქორწინების ტრადიცია, ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფია, სამეგრელოს ეთნოგრაფია, საწესჩვეულებო პოეზია.

ABSTRACT

Marriage is one of the most complex and multi-staged institutions of society. The customs and rites associated with it have traveled a considerably long path of development. Marriage, representing a historically conditioned relationship between woman and man shaped by the social existence of the time, changed and developed in step with the development of society.

Scholarly literature duly notes that the traditional Georgian wedding consisted of several principal stages: 1. Dakvleva-gariga (inquiry and arrangement), 2. Datsindva, or betrothal, 3. Farewell to the bride, 4. The wedding itself, and 5. The bride's induction into (marital) work.

Within the ritual complex of customary poetry, wedding poetry occupies one of the most significant places. One form of the appropriation of a woman is represented by the Pshav-Khevsurian „dakvleva-gariga“, that is, the inspection of the prospective bride, corresponding to the Megrelian „ginodzirapa“. This inspection (ginodzirapa) denotes a comprehensive examination of the prospective bride, an assessment of her merits and shortcomings. In Megrelian, this word occurs only within wedding-related phraseology.

A Khevsur man could not ask for a woman's hand directly; he was obliged to proceed through the mediation of a „ts'inamdzhvari“ (literally, „leader“ or „guide“). The ts'inamdzhvari was, in effect, a matchmaker. He would negotiate the matter

with the woman's parents and, upon obtaining their consent, would inform the parents of the groom.

A similar tradition existed in Samegrelo as well; there, the role of intermediary was played by the „marebeli“.

As the present study has shown, the Khevsurian and Megrelian marriage traditions intersect on many common points, though certain distinct features are also present.

Drawing on the scholarly literature as well as on the rich ethnographic material gathered by the authors in the field, this study compares the Khevsurian „dakvlevariga“ with the Megrelian „ginodzirapa“, identifying the similarities and differences that exist between them.

Keywords: marriage tradition, ethnography of Pshav-Khevsureti, ethnography of Samegrelo, customary poetry.

შესავალი

სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს სხვადასხვა საქორწინო ტრადიციები გააჩნია, მაგრამ ამ ტრადიციებში გარკვეულ შემთხვევაში მსგავსი ელემენტებიც იკვეთება.

წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში ჩვენ საუბარი გვექნება ფშავურ-ხევსურულ საქორწინო ტრადიციებზე, განსაკუთრებით კი ფშავურ-ხევსურულ „დაკვლევა-გარიგება“-სა და მეგრულ „გინოდირაფა“-ზე, ვეცდებით ვაჩვენოთ ამ საქორწინო ტრადიციებს შორის არსებული მსგავსებები.

ქორწინება ნებისმიერ კულტურულ საზოგადოებაში ერთ-ერთი რთული და მრავალსაფეხურიანი ინსტიტუტია. მასთან დაკავშირებულმა წეს-ჩვეულებებმა განვითარების საკმაოდ გრძელი გზა განვლო. იგი საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ იცვლებოდა დავითარდებოდა.

საკვლევ საკითხს არაერთი ეთნოგრაფიული თუ ფოლკლორული ნაშრომი მიეძღვნა. სამეცნიერო ლიტერატურში აღნიშნულია ქართული ქორწილის ძირითადი მომენტები: 1. დაკვლევა-გარიგება, 2. დაწინდვა ანუ ნიშნობა, 3. საპატარძლოსთან გამოთხოვება, 4. ქორწილი, 5. საპატარძლოს სამუშაოზე გაყვანა (სიხარულიძე 1960: 256).

აღსანიშნავია, რომ საწესჩვეულებო პოეზიის სარიტუალო კომპლექსში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქორწინო პოეზიას (ქართული ხალხური სიტყვიერება 1991: 552).

კვლევის მეთოდები

კვლევისას გამოყენებულია მონაცემთა აღწერის, შედარებისა და ანალიზის მეთოდები.

მსჯელობა

ცნობილია, რომ ფშავ-ხევსურეთში ქალის დასაკუთრების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა „დაკვლევა-გარიგება“ ანუ საცოლის გასინჯვა. ეს ტრადიცია სამეგრელოში გულისხმობს საცოლის ყოველმხრივ დათვალიერებას, მისი ღირსება-ნაკლულევანების შეტყობას. გინოძირაფა მეგრულში მხოლოდ საქორწილო ფრაზეოლოგიაში გვხვდება (სახოკია 1956: 83).

ხევსურული ოჯახი მონოგამიურობით ხასიათდება, რაც თავისებური წესებით გამოირჩევა. ქალ-ვაჟის შეუღლება ხდებოდა სხვადასხვა გზით: ნებაყოფლობით, მოტაცებით ან მშობლების ძალდატანებით. ამ საქმეში მონაწილეობდნენ ახლო ნათესავები. ძირითადად მაჰანკლობდნენ, ზოგჯერ შეუღლება ხდებოდა ხატის მითითებითაც. ხევსურს შეეძლო მეორე ცოლის შერთვა პირველის სიცოცხლეშივე. ეს ხდება მაშინ, თუ პირველ ცოლს შვილი არა ჰყავს ან არა ჰყავს ვაჟი. ასეთ შემთხვევაში ხევსურს პირველი ცოლი ვერ გაეყრება. ამას ჰქვია კვეთილში ჩასმა (თედორაძე 1930: 33). დაქორწინების პირველ თვეს ცოლ-ქმარი ერთმანეთს არ ელაპარაკებოდა. შემდეგ ერთმანეთს ესაუბრებოდნენ მესამე პირის დახმარებით. მთელი თანაცხოვრების განმავლობაში ქმარი ცოლის სახელს არ ახსენებდა, უწოდებდა მხოლოდ დიაცს. ხევსურული ქორწინება მკაცრი ეგზოგამიური წესით ხდებოდა. ვაჟს თავისი გვარის ან თავისივე სოფლის, თუნდაც სხვა გვარის ქალის შერთვა სასტიკად ეკრძალებოდა. ამ წესის დამრღვევნი განდევნილი იქნებოდნენ სოფლიდან, თავისი მიწა-წყლიდან (თედორაძე 1930: 34). უმცროს რძალს დაოჯახებიდან ერთი თვის განმავლობაში უფლება არ ჰქონდა მაზლისთვისაც სახელით მიემართა (მაკალათია 1984: 40).

მსგავსად იყო სამეგრელოშიც. ქორწინება ხდებოდა ქალ-ვაჟის ნებაყოფლობით, მოტაცებით ან გარიგებით. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ადგილი ჰქონდა გარიგებას. ქორწინების პროექტირება ხდებოდა ისეთი სავალდებულო წინაპირობების გათვალისწინებით, როგორიც იყო ქორწინებასთან დაკავშირებით ნათესაობაში მოქმედი ნორმები, ქორწინების სოციალურ-წოდებრივი, ეროვნული, ტერიტორიული რეგლამენტაცია. ასევე, ჯვრისწერის ასაკი. ქალ-ვაჟის დაქორწინებას უმთავრესად მშობლები წყვეტდნენ. ძველად სამეგრელოში ახალგაზრდა ქალ-ვაჟს პრაქტიკულად ხმის უფლება არ გააჩნდა მეუღლის არჩევისას. საქმროებსა და საცოლეებს თავიანთი შვილებისთვის, ჩვეულებრივ, მშობლები ირჩევდნენ და, შესაბამისად, დასამოყვრებლად იმ ოჯახს აირჩევდნენ, რომელსაც ეკონომიკური და სოციალური ინტერესებიდან გამომდინარე ხელსაყრელად ჩათვლიდნენ (აბაკელია 1999: 305).

კვეთილში ჩასმის მსგავსი ტრადიცია ცნობილი იყო მეგრულთა ეთნოგრაფიული ყოფისთვის. ვაჟის არყოლის შემთხვევაში ქალი ნებაყოფლობით შორდებოდა ქმარს და ქმარი ირთავდა მეორე ცოლს. ქალი ზოგ შემთხვევაში მიდიოდა მშობლების სახლში ან რჩებოდა ქმრის ოჯახში და წარმოადგენდა დამხმარე ძალას. ქალ-ვაჟს შორის ქორწინების

წინაპირობათაგან უპირველესი იყო ნათესაობის არქონა. არ შეიძლებოდა არც მამის და არც დედის ხაზით ნათესავზე ქორწინება (შავიანიძე 2015: 154). როგორც ხევსურეთში, სამეგრელოშიც ხელის შემშლელ გარემოებად მიაჩნდათ ერთი სოფლის მცხოვრებთა ქორწინება.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ხევსური კაცი ქალს პირდაპირ ვერ ითხოვდა, აუცილებლად „წინამძღვარი“, იგივე მაჭანკალი, უნდა ჩაერთო საქმეში. მაჭანკალი დავალებულ საქმესთან დაკავშირებით მოელაპარაკებოდა ქალის მშობლებს და, თუ თანხმობას მიიღებდა, სანეფოს მშობლებს შეატყობინებდა. ამის შემდეგ სანეფოს ძმა ან მამა წავიდოდა საპატარძლოს ოჯახში, სადაც ორივე მხარე მოილაპარაკებს (ამ საქმეზე თვითონ ნეფე არასოდეს არ წავიდოდა). სანამ ერთმანეთში საუბარს გააბამდნენ, ვაჟის მხარე ვინც იქნებოდა, ეტყოდა ქალის მამას: „თუ თქვენი ღირსნი ვიყვნეთავ, გვიკადრებთავ, აქამდია რომ დავსხედით სკამზე, დიდ მადლობელს ვართავ, არა ვართავ თქვენს თესლ – ჯილაგისანი“?.. ქალის მამა მიუგებდა პასუხად: „ჰღირხართ თქვენის თესლ–ჯილაგისანი სკამზე დასაჯდომადაცა, სამტროდაც, სამაკეთოდაცა, ქალის მისაცემადაცა, ქალსაც მასწონდით, ქალის პატრონთაც მაწონებით მოგეცით (ქალიო)“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 88).

ხევსურთა ეთნოგრაფიული ყოფისთვის აკვანში დანიშვნაც არ იყო უცხო. აკვანში დანიშვნის დროს საქმროს ბიძა მიდიოდა პატარა საცოლის მშობელთან სანიშნო ნივთებით და ნიშნის სახით უტოვებდა მომავალ საპატარძლოს ვერცხლის ფულს ან ძეწკვს, რომელსაც იქაურად ყაწიმი ან აბზინტი ეწოდება, ეს არის პირველი ნაბიჯი აკვანში დანიშვნის ცერემონიისა (თედორაძე 1930: 120).

ქალის დასანიშნად იშვიათად ვაჟის მშობლებიც მიდიოდნენ. მათ თან მიჰქონდათ ვერცხლის ფულები და ქსოვილზე დაკერებული ყაწიმიანი ძეწკვი, არაყი, პური, საკლავი და სხვა, რასაც „ლიშან-სამთხოვრო“ ეწოდებოდა. ქალისას გაიშლებოდა პატარა სუფრა, სადაც ახლად დანიშნულებს დალოცავდნენ. ამის შემდეგ აკვნის ყმაწვილები დანიშნულებად ითვლებოდნენ და პირობის დარღვევა ხევსურული ადათით არ შეიძლებოდა (მაკალათია 1984: 167).

ფშავეშიც არ იყო უცხო ქალ-ვაჟის სიყვარულით შეუღლება და მოტაცებით დასაკუთრება, მაგრამ როგორც სხვა კუთხეებში, აქაც ძირითადად გარიგებით ხდებოდა ქორწინება და ამ საქმეში, როგორც ხევსურეთსა და სამეგრელოში, მშობლების როლი დიდი იყო. ფშაველებმა იცოდნენ „მუცლად დაქორწინება“, როდესაც მშობლებს ერთმანეთის სიყვარული და ხატრი ჰქონდათ, ხატში პატარა ქალ-ვაჟს ერთმანეთში ნიშნავდნენ და იტყოდნენ: „ხატი იყოს თავმდები, რომ ეს ქალ-ვაჟი ერთმანეთს არ გაყვაროთ“ (მაკალათია 1985: 134).

ფშაველებში სასტიკად აკრძალული იყო ერთი თემისა და ხატის ქალ-ვაჟის შეუღლება. ვინც ამას დაარღვევდა, თემიდან მოჰკვეთა და გაძევება არ აცდებოდა (მაკალათია 1985: 134).

მეგრული დაოჯახება 4 ეტაპისაგან შედგება: 1. გინოძირაფა ანუ გასინჯვა საცოლისა; 2. შანუა ანუ დანიშვნა; 3. „მოყონაფა“ ანუ საცოლის

მოყვანა საქმროს სახლში და 4. „დიარა“ ანუ საქორწილო ლხინი, რომელშიც მთელი სოფელი იღებს მონაწილეობას და რომლითაც სრულდება მთელი ცერემონია ცოლის მოყვანისა (სახოკია 1956: 83).

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ „გინოძირაფაზე“, რადგან ის გარკვეულ პარალელს ავლენს ფშავესურულ „დაკვლევა-გარიგებასთან“. გასინჯვა („გინოძირაფა“), როგორც ზემოთ ითქვა, ნიშნავს საცოლის ყოველმხრივ დათვალიერებას, მისი ღირსება-ნაკლულევანების შეტყობას. ეს სიტყვა მეგრულში მხოლოდ საქორწილო ფრაზეოლოგიაში გვხვდება (სახოკია 1956: 83).

როცა ქალი და ვაჟი ქორწინების ასაკში ჩადგებოდნენ, მშობლები ცდილობდნენ მათთვის სასურველი მეუღლის შერჩევას. ამ პროცესში გადამწყვეტი ხმა და გავლენა ჰქონდა დედის ძმას (ზიძას) და ქალის უფროს ძმას, რომელთა გარეშეც ქალ-ვაჟის დანიშვნა ძნელად თუ მოხერხდებოდა. ქალ-ვაჟის დანიშვნის საქმეში მთავარ როლს თამაშობდნენ მათი დედა-მამა, ზიძა, ძმა და შუამავლები („მარებელი“). მათი შეთანხმების შემდეგ ეწყობოდა ქალ-ვაჟის მიერ ერთმანეთის გასინჯვა, რასაც ეწოდებოდა „გინოძირაფა“ (მაკალათია 2006: 333). ზიძის ამგვარი უფლება-მოვალეობა სამეცნიერო ლიტერატურაში ავუნკულატის გადმონაშთად მიიჩნევა. ავუნკულატი, როგორც ცნობილია, მატრიარქატიდან პატრიარქატზე გარდამავალ საფეხურზე წარმოიშვა (Косвен 1984, Лего же 1961: 140).

გინოძირაფა ხდებოდა როგორც ოფიციალურად, ისე არაოფიციალურად. ე. ი. ზოგჯერ არც გოგომ და არც ოჯახის წევრებმა არ იცოდნენ, გამსინჯავი ისე, ვითომ შემთხვევითი მგზავრი იყო, ან წყალს ითხოვდა, ან რასმე იკითხავდა და ასე გაიცნობდა, გამოელაპარაკებოდა ქალს (ჯალაღონია 1989: 48-49).

ზოგჯერ მარებელი არჩევდა წყვილს, ფიზიკურად შესაფერ ქალ-ვაჟს, რომლებიც შესაძლოა სრულიად უცნობები ყოფილიყვნენ ერთმანეთისთვის. ეწყობოდა შეხვედრა. ხშირად ეს ხდებოდა ქორწილში, სატირალზე ან ჯარალუაზე (არნანია... 1999: 54-55).

აკვანში დანიშვნის ჩვეულება სამეგრელოს ეთნოგრაფიული ყოფისთვისაც დამახასიათებელი იყო და მას „ონწეშ იკოდგუმა“ ერქვა (მაკალათია 1941: 260-261).

ფშავე-ხევსურთა ეთნოგრაფიულ ყოფაში საპატარძლოს შერჩევისას დიდი ყურადღება ექცეოდა მის გამრჯეობას, მუყაითობას, საქმის ცოდნას. „უხელთურია, ვერ მახერხავ, რომ სახლი დაეგავავ“, – იტყოდა ხევსური: „მკაში როგორი ხელი აქვს?“ – კითხულობდა მთიული, თუმცა მას არც ქალის მეოჯახეობა რჩებოდა გამოკითხვის გარეშე, იგივე აზრისა იყო ფშაველიც:

...ქალი გაჩხრიკე მთაშია,

საქერეების მკაშია (ივერია 1892, №36).

ცნობილია, რომ ქალის „დაკვლევა“ დღეობების დროს ხდებოდა:

ქალაქში ბევრი მოსულა

თევზი, დოში და სათალი,

თუ შენი ქალი კარგია,

გასათხოვარი რად არი?

* * *

უღელი ხარის სათარი,
როდის მამკითხავ, მზათ არი;
ეგ თქვენი გოგო ლამაზი,
გასათხოვარი რათ არის?!

(ხალხური სიტყვიერების მასალები 1975: 102).

ერთ-ერთი ხალხური ლექსის მიხედვით, ვაჟი, რომელსაც მკის დროს უნახავს ქალიშვილი, მისი შრომისუნარიანობით მოხიზლული აცხადებს:

...თუ ცოლად არ წამომყვება,

სხვა ნუ მეღირსება ქალიო (ივერია 1892, №36).

ქალის მუყაითობა მეგრელებშიც გამორჩეულ თვისებად ითვლებოდა ცოლის შერჩევისას. ერთ მეგრულ ლექსში ვკითხულობთ:

ცირა:

– ხაჩქუას ქიდიივჭყა.
ვეებგინა გათებას.

ბოში:

– ეჯგურა ხაჩქუა ქოგიჩქუ-და,
მოლმაცუნი ოსურო.

ცირა:

– მიდგაცუნე, სქან ოჯახის
ჯგირ დო სქვამი ქოძუნო?

ბოში:

– რადგან ხაჩქუა ქონორჩქენი,
სი იფრელი გაღვენუ...

გოგო:

– თოხნას დავიწყებ,
ვერ ვიგრძნობ გათავებას.

ბიჭი:

– თუ ამისთანა თოხნა იცი,
გამომყევი ცოლად.

გოგო:

– რომ გამოგყვე, შენს ოჯახში
გაქვს ქონება
(„კარგი და ლამაზი ძევს?“)

ბიჭი:

– რადგან თოხნა გცოდნია,
შენ ყველაფერი გექნება.

(ქართული ხალხური სიტყვიერება 1975: 333).

საცოლის შერჩევის ეს პრინციპი დამახასიათებელი იყო მთელი საქართველოსათვის.

ფშაველი ხედავდა და ხედავს ქალის იდეალს სილამაზესთან ერთად ზნეობრივ სიწმინდეში, პატიოსნებაში. ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქალის წარმომავლობას. ხევსურეთში სარძლოს შერჩევასა და დანიშვნას დიდი ყურადღება ექცეოდა; ქალ-ვაჟის ჯიშიანობასა თუ უჯიშობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჯიშიან გვარად ითვლებოდა ფიზიკურად ჯანსაღი და გმირული წარსულის მქონე გვარები, რომელთაც თემ-ჯარში სახელოვანი წინაპრები ჰყავდათ. ასეთ ჯიშიან გვარებად ითვლებოდა: გოგოჭური (ბუჩუკურთისა და ჭორმეშავის მცხოვრებნი), არაბული, ჭინჭარაული, ბურდული და გიგაური (მაკალათია 1984: 37).

„ყანა მშრალი სჯობს სამკალად

ნამიან-ჭანჭახიანსა,

ქალი გონჯი სჯობს ლამაზსა,

ჭორიან-სამრახიანსა“ (ვაჟა-ფშაველა 1956: 955).

უნამუსო ლამაზ ქალს ისევ გონჯს, მაგრამ ნამუსიან დედაკაცს ამჯობინებს ფშაველი. გასათხოვარი ქალი თავის კერაზე ღირსეულად უნდა იჯდეს:

კაცი გავლილ-გამოვლილი ჯობს,
ყველას თვალით ნახული,
ქალი მამის კერას ნაჯდომი,
საქმარედ თავშენახული (თსუ ფილ. კათედრა, 1977).

გასათხოვარ ქალს ღირსეულად უნდა ეჭიროს თავი, რადგანაც ზნეობრივად წმინდა და კარგად აღზრდილი ქალი ყველასათვის სასურველი სარძლო იყო. ამგვარი დამოკიდებულება იყო მთელ საქართველოში.

ქალის ღირსება სამეგრელოში მთავარ დასაფასებელ თვისებად ითვლებოდა. უღირსი ქალის შეხვედრა დიდ ტრაგედიად ითვლებოდა. ერთ ხალხურ ლექსში მეგრული დანაწებით ამბობს, ცოლი შეირთო, მაგრამ კარგი ჯიშისა არ აღმოჩნდაო:

– ოსურ მიპუნ, ჯიმაღეფი,	ცოლი შევირთე („მოვიყვანე“), ძმებო,
მარა ვარე ჯიშიერი,	მაგრამ არაა ჯიშიანი,
სერი დო დღაში ცუდეს ვარე	ღამით და დღისით შინ არაა
დო ვამიჩქე მიში რენი...	და არ ვიცი, ვისი არის...

(ქართული ხალხური სიტყვიერება 1975: 211).

ცხადზე უცხადესია, რომ ასეთი შემთხვევა მიუღებელი და მტკივნეულია როგორც მეუღლისათვის, ისე მთელი ნათესაობისათვისაც. ამიტომაც იყო დედის კარგი ქალობა მნიშვნელოვანი და აუცილებელი ფაქტორი ქალის შერჩევისას, რათა მსგავსი რამ არ მომხდარიყო.

როცა ქალისა და ვაჟის ოჯახები ყველაფერზე შეთანხმდებოდნენ და ნიშნობა ოფიციალურად შედგებოდა, ამის შემდეგ პირობის დარღვევა ფშაურ-ხევსურთათვის დიდ დანაშაულად ითვლებოდა და შეიძლება სისხლისღვრაც კი მოჰყოლოდა. მსგავსად იყო სამეგრელოშიც, დანიშნის შემდეგ პირობის დარღვევა რომელიმე მხრიდან დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა, რასაც შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყოლოდა (ფიფია 1999:163).

დასკვნა

ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულმა მასალებმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ საპატარძლოს შერჩევის ფშაურ-ხევსურულ და მეგრულ წესებში ბევრი საერთო იკვეთება. ხსენებული კუთხეებისთვის მისაღები იყო გარიგებითი ქორწინების არსებობა, ასევე, აღნიშნული კუთხეების წარმომადგენლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ქალის სილამაზეს, ზნეობრივ სიწმინდეს, პატიოსნებასა და საოჯახო საქმეებში გაწაფულობას. შეიძლება ითქვას, რომ ქალის ოჯახიშვილობას ანუ ჩამომავლობას საანალიზო კუთხეებში განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდებოდნენ. XXI საუკუნეში გლობალიზაციის პროცესებმა თავისი კვალი დაატყო საქორწილო ტრადიციებს, მათ შორის დაკვლევა-გინოძირაფას.

 გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- აბაკელია 1999 – ნ. აბაკელია, საქორწინო წეს-ჩვეულებები სამეგრელოში, სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში, თბილისი-ზუგდიდი, 1999.
- არნანია... 1999 – ა. არნანია, ვ. შონია, დარჩელი (ნარკვევები სოფლის ისტორიიდან). თბილისი, 1999.
- ვაჟა-ფშაველა 1956 – ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. VII. თბილისი, 1956.
- ვაჟა-ფშაველა 1964 – ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. IX. თბილისი, 1964.
- თედორაძე 1930 – გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში. თბილისი, 1930.
- თსუ ფოლკლორის კათედრა 1977 – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლოლოგიის კათედრის 1977 წ. ზამთრის IX სამეცნიერო ექსპედიციის მასალები. მთქმ. ბ. ჭინჭარაული, ჩამწ. თ. ჩხაიძე, ხევსურეთი, ბარისახო.
- ივერია 1892 – გაზეთი „ივერია“, ტფილისი, 1892, №36.
- მაკალათია 1941 – ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბილისი, 1941.
- მაკალათია 1984 – ს. მაკალათია, ხევსურეთი. თბილისი, 1984.
- მაკალათია 1984 – ს. მაკალათია, ფშავი. თბილისი, 1985.
- მაკალათია 2006 – ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბილისი, 2006.
- სახოკია 1956 – თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები. თბილისი, 1956.
- სიხარულიძე 1960 – ქს. სიხარულიძე, საქორწინო პოეზია, წიგნში: ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება. თბილისი, 1960.
- ფიფია 1999 – ე. ფიფია, ქორწილი და მასთან დაკავშირებული რიტუალი სამეგრელოში. ჟურნალი „აია“, VII. თბილისი, 1999.
- ქართული ხალხური სიტყვიერება 1975 – ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტოგო გუდავამ. თბილისი, 1975.
- ქართული ხალხური სიტყვიერება 1991 – ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები. გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ, ა. ცანავამ, ტ., II. თბილისი, 1991
- შავიანიძე 2015 – დ. შავიანიძე, სამეგრელო (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი). ქუთაისი, 2015.
- ჯალაღონია 1989 – მ. ჯალაღონია, მასალები საქორწინო წეს-ჩვეულებათა ისტორიისათვის (ზუგდიდის მუზეუმიდან). საქართველოს ეთნოგრაფთა XII რესპუბლიკური სესიის მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1989.

References and Sources

- Abakelia 1999 – N. Abakelia, Wedding Customs in Samegrelo. Samegrelo, Colchis, Odishi. Tbilisi–Zugdidi, 1999.
- Armania... 1999 – A. Armania, V. Shonia, Darchili (Essays on the History of the Village). Tbilisi, 1999.
- Georgian Folk Literature 1975 – Megrelian Texts, Vol. I. Prepared for publication, with introduction and study by T. Gudava. Tbilisi, 1975.
- Georgian Folk Literature. 1991 –Megrelian Texts, Vol. II. Prepared for publication by K. Danelia and A. Tsanava. Tbilisi, 1991.
- Iveria 1892 – Newspaper Iveria. Tiflis, No.36, 1892.
- Jalaghonia 1989 – M. Jalaghonia, Materials on the History of Wedding Customs (from the Zugdidi Museum).Abstracts of the Reports of the 12th Republican Session of Georgian Ethnographers. Tbilisi, 1989.
- Makalatia 1941 – S. Makalatia, History and Ethnography of Samegrelo. Tbilisi.
- Makalatia 1984 – S. Makalatia, Khevsureti. Tbilisi, 1984.
- Makalatia 1985 – S. Makalatia, Pshavi. Tbilisi, 1985.
- Makalatia 2006 – S. Makalatia, History and Ethnography of Samegrelo. Tbilisi, 2006.
- Phipia 1999 – E. Phipia, Wedding and Related Rituals in Samegrelo. Journal Aya, No. VII. Tbilisi, 1999.
- Sakhokia 1956 –T. Sakhokia, Ethnographic Writings. Tbilisi, 1956.
- Sikharulidze 1960 – K. Sikharulidze, Wedding Poetry. In: Georgian Folk Poetic Creativity. Tbilisi, 1960.
- Shavianidze 2015 – D. Shavianidze, A Historical-Ethnographic Essay on Samegrelo. Kutaisi.
- Tedoradze 1930 – G. Tedoradze, Five Years in Pshav-Khevsureti. Tbilisi, 1930.
- TSU Department of Folklore 1977 – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Department of Folklore. 1977. Materials of the 9th Winter Scientific Expedition (1977). Narrator: B. Chincharauli; Recorder: T. Chkhaidze. Khevsureti, Barisakho.
- Vazha-Pshavela 1956 – Vazha-Pshavela, Collected Works, Vol. VII. Tbilisi, 1956.
- Vazha-Pshavela 1964 – Vazha-Pshavela, Collected Works, Vol. IX. Tbilisi, 1964.